ადრესატი:

გიორგი ტყემალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**03-032432483**
თარიღი: **19/11/2024**

საკრებულოს სხდომაზე წარსადგენად

2024 წლის 18 ნოემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ განხილული იქნა საკრებულოს დადგენილების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუხიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით. წინამდებარე წესში ცვლილებების პროექტის მომზადება განპირობებულია სამუშაო პროცესში გამოვლენილი რიგი საჭიროებების დასაზუსტებლად, ასევე გარკვეული უზუსტობების აღმოსაფხვრელად. შემოთავაზებული ცვლილებების მიღებით გეოგრაფიული ობიექტების სახელდების პროცესი მეტად მოწესრიგებული გახდება. სახელდების წესის დღეს მოქმედი რედაქციით, თბილისის საკრებულოს არ აქვს უფლებამოსილება სახელდება განახორციელოს ისეთ გეოგრაფიულ ობიექტებზე, რომლებიც მოქცეულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში, წესი ასევე ზღუდავს საკუთრებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე. პრაქტიკამ ცხადყო, რომ როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში, ასევე სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებობს შესაბამისი ფუნქციური ზონით დატვირთული ობიექტები, რომლებიც დანიშნულების შესაბამისად გამოიყენება და ქონების მფლობელთა მიერ არსებობს სახელდების განხორციელების სურვილი. ვინაიდან თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება თბილისის მუნიციპალიტეტის დისკრეციული უფლებამოსილებაა ცალკეულ შემთხვევებში, ქონების მფლობელის მომართვით ან თანხმობით შესაძლებელი გახდება სახელდების განხორციელება ეკლესიისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე. წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციით, თუ განსახილველი საკითხი შეეხება რელიგიურ და სასულიერო მოღვაწეებს იგი თანხმდება შესაბამისი კონფესიის წარმომადგენლებთან, თუმცა მუხლში ჩანაწერი არაა წმინდანების სახელების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, შემოთავაზებული წინადადებებით 14-59 დადგენილების შესაბამის მუხლს დაემატება შეთანხმების საჭიროება წმინდანების სახელების მინიჭების შემთხვევაშიც. მე - 6 მუხლის პირველი პუქტით გაწერილია შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების აღდგენა ან შეცვლა. საკითხების განხილვის პროცესში კომისია ხშირად აწყდება შემთხვევებს, როდესაც სახელდების აუცილებლობა გამოწვეულია ისტორიულ ვითარებათა და სხვა გარემოებათა გამო სახელწოდების დამახინჯებით; წარსულში საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება მივიწყებული ან დაკარგულია; ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით იკვეთება შემთხვევები ქუჩის ნუმერაციის შეუძლებლობასთან დაკავშირებით, ხსენებული გამომდინარეობს ქუჩათა ქსელის კონფიგურაციით. ამდენად კომისია რეკომენდაციას აყენებს აღნიშნულ მუხლში დაემატოს შესაბამისი ჩანაწერები გამოვლენილი საჭიროებების წესის დონეზე გასაწერად. 2015 წლის 16 ივნისს, "ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" 14-59 დადგენილები მიღების მომენტში მერიის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზების მომზადება დამუშავებას იყო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, თუმცა ცვლილებების განხორციელების შემდგომ დღეს იგივე უფლებამოსილებას ახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, შესაბამისად წინამდებარე დადგენილება საჭიროებს ხსენებული ტექნიკური უზუსტობის შესწორებას. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია რეგულარულად ახდენს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე მისამართის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟის მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგს, ასევე სამსახურს გარკვეული პერიოდულობით უგზავნის იმ ობიექტების ჩამონათვალს, სადაც პრიორიტეტულად მიიჩნევა აბრების განთავსება. წესის არსებული რედაქცია ხსენებულ საკითხზე არ შეიცავს შესაბამის ჩანაწერს, კომისიის სხდომაზე განხილული ცვლილებების პროექტით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დადგენილების მე-10 მუხლის 2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის პრიმა პუნქტი: „2¹ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით და სიხშირით განახორციელოს აბრების განთავსების პროცესის მონიტორინგი, ასევე მერიის შესაბამის სამსახურს აბრების დამზადება მოტაჟის მიზნით მიაწოდოს იმ გეოგრაფიული ობიექტების ჩამონათვალი, რომლებზეც კომისია პრიორიტეტულად მიიჩნევს აბრების განთავსებას“ დანართის სახით გიგზავნით ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით მომზადებულ პროექტს. გაცნობებთ, რომ შემოთავაზებული ცვლილებების პროექტი განხილული და მხარდაჭერილი იქნა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 18 ნოემრის სხდომაზე და გაიცა რეკომენდაცია საკითხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

ნოემბერი 2024

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 17/06/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016172) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის:

1. მე-2 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ეს წესი არ ვრცელდება დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის(გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ფიზიკური პირების, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირებისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) რელიგიური ორგანიზაციების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) უცხოეთის სახელმწიფოებისა და უცხოური თუ საერთაშორისო ორგანიზაციების საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე.

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „მე-4“ და „მე-5“ პუნქტები:

„ 4. თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე სახელდება დასაშვებია საქართველოს საპატრიარქოს წერილობითი მომართვის ან თანხმობის შემთხვევაში.

5. თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში არსებულ ობიეტებზე სახელდება დასაშვებია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის სათანადოდ დამოწმებული კრების ოქმის საფუძველზე მომართვის ან თანხმობის შემთხვევაში.“

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რელიგიურ დღესასწაულებთან, წმინდანებთან და სასულიერო მოღვაწეებთან დაკავშირებული სახელდება თანხმდება შესაბამის კონფესიებთან.“

3. მე - 6 მუხლის პირველი პუქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1. გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელწოდების აღდგენა ან შეცვლა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ:
ა) იცვლება საბჭოთა, ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული შემორჩენილი სახელწოდებები;
ბ) შესაძლებელია ისტორიული ტოპონიმების აღდგენა, რომლებსაც განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა გააჩნია;
გ) არსებობს ერთი და იმავე სახელწოდების რამდენიმე გეოგრაფიული ობიექტი, რაც სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებისას ქმნის გარკვეულ სირთულეებს; (აღნიშნული არ ვრცელდება ,,ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის №4173-რს დადგენილებით შემოერთებული ტერიტორიების მიმართ);
დ) წარსულში საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება დროთა განმავლობაში მივიწყებული ან დაკარგულია;
ე) ისტორიულ ვითარებათა და სხვა გარემოებათა გამო მოხდა სახელწოდების დამახინჯება;
ვ) არსებითად იცვლება გეოგრაფიული ობიექტის ფუნქციური დანიშნულება ან სტატუსი;
ზ) ტარდება სახელდების ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის ისეთი ქალაქთმშენებლობითი სახეცვლილება ან რეკონსტრუქცია, რომელიც იწვევს გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების შეცვლის ან გაუქმების აუცილებლობას;
თ) გეორგაფიული ობიექტის არსებული კონფიგურაცია არ იძლევა სამისამართო ერთეულების კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისი ნუმერაციის განხორციელების შესაძლებლობას;
ი) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“.

4. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია, მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით, ინიციატივას რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღეში, მასზე დართულ დოკუმენტებთან ერთად, აქვეყნებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე. საჭიროების შემთხვევაში, კომისია ვალდებულია ინიციატივას დაურთოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვიტარების სააგენტო) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში“.

5. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „2¹“ პუნქტი

„2¹ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით და სიხშირით განახორციელოს აბრების განთავსების პროცესის მონიტორინგი, ასევე მერიის შესაბამის სამსახურს აბრების დამზადება მოტაჟის მიზნით მიაწოდოს იმ გეოგრაფიული ობიექტების ჩამონათვალი, რომლებზეც კომისია პრიორიტეტულად მიიჩნევს აბრების განთავსებას“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

განმარტებითი ბარათი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი, პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

დადგენილების პროექტის მიზეზია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების განხორციელებისას, საკითხების შესწავლისა და დამუშავების პროცესში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გამოვლენილი შეფერხებების აღმოფხვრა.

,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დღეს მოქმედი რედაქციით თბილისის საკრებულოს არ აქვს უფლებამოსილება სახელდება განახორციელოს ისეთ გეოგრაფიულ ობიექტებზე, რომლებიც მოქცეულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში, წესი ასევე ზღუდავს სახელდებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე. პრაქტიკამ ცხადყო, რომ როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში, ასევე სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებობს შესაბამისი ფუნქციური ზონით დატვირთული ობიექტები, რომლებიც დანიშნულების შესაბამისად გამოიყენება და ქონების მფლობელთა მიერ არსებობს სახელდების განხორციელების სურვილი. ვინაიდან თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება თბილისის მუნიციპალიტეტის დისკრეციული უფლებამოსილებაა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელი გახდება სახელდების განხორციელება ეკლესიისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე.

მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციით თუ განსახილველი საკითხი შეეხება რელიგიურ და სასულიერო მოღვაწეებს იგი თანხმდება შესაბამისი კონფესიის წარმომადგენლებთან, თუმცა მუხლში ჩანაწერი არაა რელიგიური წმინდანების სახელების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით;

მე - 6 მუხლის პირველი პუქტით გაწერილია შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების აღდგენა ან შეცვლა. საკითხების განხილვის პროცესში კომისია ხშირად აწყდება შემთხვევებს, როდესაც სახელდების აუცილებლობა გამოწვეულია ისტორიულ ვითარებათა და სხვა გარემოებათა გამო სახელწოდების დამახინჯებით; წარსულში საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება მივიწყებული ან დაკარგულია; ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით იკვეთება შემთხვევები ქუჩის ნუმერაციის შეუძლებლობასთან დაკავშირებით, ხსენებული გამომდინარეობს ქუჩათა ქსელის კონფიგურაციით.

წესის მიღების მომენტში სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზების მომზადება დამუშავებას იყო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, თუმცა ცვლილებების განხორციელების შემდგომ დღეს იგივე უფლებამოსილებას ახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, შესაბამისად მიზანშეწონილია აღნიშნული ტექნიკური უზუსტობის შესწორება.

კომისია რეგულარულად ახდენს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე მისამართის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟის მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგს, ასევე სამსახურს გარკვეული პერიოდულობით უგზავნის იმ ობიექტების ჩამონათვალს, სადაც პრიორიტეტულად მიიჩნევა აბრების განთავსება. წესის არსებული რედაქცია ხსენებულ საკითხზე არ შეიცავს შესაბამის ჩანაწერს.

ბ) გადაწყვეტილების მიღების მიზანი:

წინამდებარე პროექტის მიღების მიზანია წესის დონეზე დარეგულირდეს და აღმოიფხვრას ის შეფერხებები, რაც გამოვლენილია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და საკითხების შესწავლის პროცესში.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება:

პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია.

კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე.